

პომიდვრის და ბადრიჯნის მოვლა-მოყვანის მოკლე ცნობარი



ნიადაგის დამუშავება

თუ გაზაფხულამდე ნიადაგი არ იყო დამუშავებული იგი უნდა დამუშავდეს რაც შეიძლება ადრე და გულმოდგინედ, მოცილდეს აღმოცენებული სარეველები და მათი ფესვები.

ნიადაგის გაფხვიერება

ნიადაგის გაფხვიერება დაფარცხვას მიმართავენ აპრილში, ერთეული სარეველების გამოჩენისთანავე, ამავე დროს ხდება ნიადაგის გაფხვიერება და ბელტების დაშლა.

ჩითილების გამოყვანა

მარტის ბოლოს, აპრილის დასაწყისში მიმართავენ ჩითილების გამოყვანას კვალსათბურებში, მომზადებულ გრუნტში, ერთჯერად ჭიქებში ან სპეციალურ კასეტებში, კულტურული მცენარის თესვები ითესება 2-2,5 სმ სიღრმეზე.

ჩითილების მოვლა

მოიცავს მორწყვას, დაცვას დაბალი ტემპერატურების ზემოქმედებისაგან, დაცვას მავნებლებისა (მახრები, ჭიჭინობელა და სხვა. ინსექტიციდების გამოყენებით) და დაავადებებისგან (ფესვის სიდამპლე - პრევიკური ან პროპაკური ან მათი ანალოგების 0,2 % ხსნარი).

ჩითილების გადარგვა

გადარგვა ხდება მაისში, ამ დროს ჩითილები არიან 18-22 სმ სიმაღლის, 4-5 ნამდვილი ფოთლით, 35-45 დღის ასაკის. მცენარეთა გადარგვა ხდება ტენიან ნიადაგში, კარგად იტკეპნება ნიადაგი და ირწყვება. კვების არე 50X70 სმ.

გამორგვა

გადარგვიდან 7-10 დღეში ხდება გაცდენილი მცენარეების გამორგვა.

მცენარეთა მორწყვა

გადარგული მცენარეები ირწყვება 5-7 დღეში ერთხელ (კლიმატური პირობებისა და საჭიროების მიხედვით). მთელი ვეგეტაციის მანძილზე მასიდან-სექტემბრამდე.

სარეველების მოცილება და ნიადაგის გაფხვიერება

გადარგვიდან ორი კვირის შემდეგ ივნისის დასაწყისში მიმართავენ რიგთაშორისების პირველ გაფხვიერებას და სარეველათა მოცილებას. ამავე დროს ტარდება მცენარეთა დამატებითი გამოკვება აზოტოვანი სასუქებით.

მეორე გაფხვიერება

მას მიმართავენ ივნისის ბოლოს ივლისის დასაწყისში, ამავე დროს ატარებენ მცენარეთა დამატებით გამოკვებას აზოტოვანი და სხვა სასუქებით.

მცენარეთა დაცვა

მცენარეთა დაცვა მავნებლებისა და დაავადებებისაგან საჭიროა მთელი ვეგეტაციის მანძილზე, მასიდან სექტემბრის ბოლომდე. აღნიშნული კულტურები, განსაკუთრებით პომიდორი, ძალზე მგრძობიარენი არიან სოკოვანი დაავადებების მიმართ, ამიტომ მათი დამუშავება ფუნგიციდებით საჭიროა მთელი ვეგეტაციის მანძილზე (მცენარეები მუშავდება როგორც კონტაქტური, ასევე სისტემური ფუნგიციდებით).

მოსავლის აღება

აღნიშნული კულტურები ხასიათდებიან ნაყოფების არათანაბარი მომწიფებით, ამიტომ მათი მოკრეფვა ხდება ეტაპობრივად, აგვისტოდან ოქტომბრამდე.

